

ქ.თბილისი

2017 წლის 21 სექტემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 21 სექტემბერს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს მეთვალყურეთა თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის მომართვა, მატჩის მეთვალყურის ა. დიბრაძის ოქმი, მთავარი მსაჯის ა. პოლოსიანის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 14 სექტემბერს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის კალენდარულ მატჩზე, პატარძელის „ვეფხვებისა“-სა და გორის „ჯიქი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

გორის „ჯიქი“-ს მორაგბემ დავით ჭავჭავაძემ, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მოწინააღმდეგეს, რამაც გამოიწვია ჯგუფური ჩხუბის პროვოცირება.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7 პუნქტით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. გორის „ჯიქი“-ს მორაგბე დ. ჭავჭავაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/